ნინო ლაპიაშვილი[1]

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ სამართლის ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის მეთოდის გამოყენების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ევოლუცია: ზოგიერთი გამორჩეული ავტორის მოსაზრების მიმოხილვა

აბსტრაქტი

სტატია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განიხილავს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ სამართლის ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის მეთოდის გამოყენებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის ვრცელი ნუსხიდან გამორჩეული ავტორების ორ უმნიშვნელოვანეს ნაშრომს. კვლევის მიზანია, წარმოაჩინოს ამ საკითხის გარშემო მიმდინარე დისკურსის ევოლუცია. კერძოდ, განხილული ნაშრომების ავტორები არიან ერთის მხრივ, გენერალური ადვოკატი ნაილ ფენელი, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტი კოენ ლენარტსი და მისი კაბინეტის იურიდიული სამსახურის მდივანი ა. გუტიერეშ-ფონსი. სასამართლოში დაკავებული მაღალი თანამდებობების მიუხედავად, ავტორების ეს ნაშრომები მათ ოფიციალურ პოზიციას, ცხადია, არ გამოხატავს. თუმცა, ორივე სტატიის ერთ კონტექსტში წაკითხვა გარკვეულწილად ერთგვარი საინტერესო დიალოგის ფორმას იღებს, რადგან ე.წ. 'შიდა სამზარეულოს' პერსპექტივიდან გადმოგვცემს ლუქსემბურგის სასამართლოს მიდგომებს იმის შესახებ, თუ რა იერარქიული ადგილი ეკავა სამართლის ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის მეთოდს 90-იან წლებში და როგორ შეიცვალა მისი პოზიცია დეკადაზე ნაკლებ დროში.

საკვანძო სიტყვები: სამართლებრივი ინტერპრეტაციის მეთოდები, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო/მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო, ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის მეთოდი, სამართლებრივი ინტერპრეტირების მეთოდების კომბინირებული გამოყენება

[1] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, თსუ მოწვეული აკადემიური პერსონალი, ევროპისმცოდნეობის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის, ასევე, ვილნიუსის უნივერსიტეტთან და ლატვიის ვიდძემის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამების და ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის დამფუძნებელი და ავტორი, ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიზაციაში რეგიონული სამაგისტრო პროგრამის ეროვნული კოორდინატორი, ერაზმუს+ ჟან მონეს პროექტის EUStBA ავტორი და კოორდინატორი, ტემპუსის ევროპისმცოდნეობის ინოვაციური სწავლების მეთოდების ცენტრის თანა-ხელმძღვანელი, ევროპისმცოდნეობის ქართული ჟურნალის დამფუძნებელი. ელექტრონული ფოსტა: nino.lapiashvili@tsu.ge